საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კომუნისტი

პარასკევი, 27 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 28 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 28

თავზარდაცემულნი მშობლები: დედა ნატალია და მამა კარაპეტი, დები: ანეტა, ნინა, მარგარიტა და ჟენია, ძმა იაკობი ოჯახობით, მამიდა თალალა და ბიძა მიხეილ იაკობის-ძე ოჯახობით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ შაბათს ა. წ. 28 აგვისტოს დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში სომხეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ქ. ერევანში ტრაგიკულათ დაღუპულ

სტეფანე კარაპეტის-ძე

**ალავერდოვის**

სულის მოსახსენებლათ.

„საყოველთაო საარჩევნო უფლება მაჩვენებელია მუშათა კლასის მომწიფების. მეტის მიცემა მას არ შეუძლია და ვერცროდეს მოგვცემს თანამედროვე სახელმწიფოში. როცა მუშების საყოველთაო ხმის მიცემის ტერმომეტრი აიწევს დუღილის წერტილამდე, მაშინ მუშებიც და კაპიტალისტებიც დაინახავენ თუ რისი მომასწავებელია ეს».

ფ. ენგელსი. წარმოშობა ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოსი.

## დაშნაკელები საჯალათოზე

ჩვენი გაზეთის მკითხველი სომხეთიდან მიღებულ წერილში ამოიკითხავს ერევნის ჯალათების საგმირო საქმეების ამბავს.

დაშნაკელთა საბრძანებლოში, დაშნაკელთა პარტიის და მისი „დემოკრატიულ-სოციალისტური“ მთავრობის ხელძღვანელობით, გამართული ტყვე-კომუნისტების გეკატომბა. აბდულ-გამიდის ვეოაგობის და სისხლ-შეთხუპული ბარბაროსობის სკოლა გავლილი, ვარანცოვ-დაშკოვის სასახლის უკანა კარების კიბეზე გაპოლიტიკოსებული, დენიკინის ლაქიობაში დავაჟკაცებული მაუზერისტების წინამძღოლი პარტია დაშნაკელთა ციხეში იჭრება და ყასაბივით უსწორდება მის ტყვეობაში მყოფ კომუნისტებს. სომხის მშრომელი ხალხისთვის თავდადებული რევოლიუციონერები, ამხ. სტ. ალავერდოვი და მასთან ერთად ხაწადები კომუნისტები ეცემიან დაშნაკელთა ყიზილბაშების ხალპებს ქვეშ. ჯოჯოხეთია დასადგურებული ციხეში დარჩენილ კომუნისტების ქვის საფლავებში. დაშნაკელთა დაქირავებული ჯალათი ქუჩაში ქურდულათ უთვალთვალებს კუთხიდან გამვლელ კომუნისტს, რომ მახვილი ჩასცეს ზურგში მუშა გლეხის ძალა-უფლებისათვის მებრძოლს! თეთრი ტერორი სუფევს დაშნაკელთა სამფლობელოში, დენიკინ-ვრანგელების აჩრდილი სიკვდილის ცელს ამუშავებს ბ-ნებ ოგანჯანიანების ხელებით. ეცემიან დაცხრილულ კომუნისტების გვამები, მათ ორმოს უთხრიან იქვე, საჯალათო მოედნის ახლოს და შიგ ჰყრიან.

აი სომხის ხალხის ბედის გადამწყვეტელი პარტიის მუშაობა! აი ვის ემუდარება „ერთობა“ — ერთმანეთის ყვარეჯინი ვიყოთო! სული სულს იცნობს და მეგობარი მეგობარს და ჩვენ არ გვსურს „ერთობის“ მრევლის სულის სიმშვიდის დარღვევა ამ გეკატომბების საშინელი და შემზარავი სურათით. მარა რაც კია პატიოსანი და კეთილშობილი, ქეშმარიტ-დემოკრატიული და რევოლიუციონური საქართველოს მშრომელ ხალხში, ყველას შეაძრწუნებს დაშნაკელთა მორიგი ავაზაკობა.

და თქვენ კი, კომუნიზმისათვის და მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულნო და დაშნაკელთა მიერ წამებულნო ამხანაგებო — იყავით ჯერ თქვენს ორმოებში. თქვენი გვამების მიწაზე დაცემის ხმა მოესმება სომხის მშრომელთ, თქვენი ძვლებიდან უკვე დგება შურისმაძიებელი, რომელიც დაამხობს ძალადობის რეჟიმს, საუკუნოთ მიაყრის მიწას, თქვენს დაფერფლილ ძვლებს კი კომუნიზმისათვის წამებულთა პანთეონში გადაიტანს და საუკუნოთ გახდის თქვენს ხსენებას!

## სასნოვსკი და მენშიკოვი

საუცხოვო ლიტერატურული პარალელია (იხ. გაზ. „ერთობის“ გუშინდელი № 193). ეს დაპირდაპირებაა საბჭოთა რუსეთის და რუსეთის თვითმპყრობელობისა. და ამით უნდათ მენშევიკებს ერთი წვერ მოტეხილი კალმის მოსმით მოსპონ ბოლშევიზმი და კომუნიზმი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს პარალელი — სასნოვსკის მენშიკოვთან დაპირდაპირება საუცხოვო ილიუსტრაციაა იმისი, თუ რაოდენ მანძილით დაშორდა ახალი, ბოლშევიკური რუსეთი ძველს, თვითმპყრობელურ რუსეთს.

ამ პარალელში საერთოა მხოლოდ ის, რომ როგორც ერთ დროს მენშიკოვი საუკეთესო ლიტერატურული გამომხატველი იყო თვითმპყრობელობის პოლიტიკისა, სწორეთ ასევე საუცხოვო გამომხატველია ამხ. სოსნოვსკი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკისა.

განა ისტორიის მთელ სივრცეზე საერთოთ იდეას და კერძოთ პოლიტიკას პიროვნებები არ ხატავენ?

ვინ იყო მეტერნიხი, ბისმარკი, მარქსი, ვინ არის ლენინი, ლოიდ ჯორჯი და სხვები თუ არა პიროვნებანი, რომლებიც თავის დროისა და კლასის პოლიტიკას გამოხატავენ? რითია ცუდი და დასაგმობი ბისმარკი მარქსთან შედარებით, თუ არა იმით, რომ ის საუკეთესო პოლიტიკოსი იყო მუშათა კლასის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით რითია მარქსი საქებ-სადიდებელი, თუ არა იმით, რომ ის იყო მთელი ისტორიულათ უდიადესი კლასის, პროლეტარიატის მთელი გონიერების და პოლიტიკის უაღრესათ და უმწვერვალესათ გამომხატველი.

ოა თქმა უნდა, ვერც მენშიკოვი შეედრება ბისმარკს ისე, როგორც სასნოვსკი ვერ შეედრება მარქსს, მარა ორივე ეს პიროვნება თავის დარგში საუკეთესო შემსრულებლები არიან თავიანთი როლის.

მარა საქმე ამ როლებშია და არა მათ მსგავსებაში. პირველის როლი, როგორც ვთქვით, თვითმპყრობელობის პოლიტიკაა, ხოლო მეორის საბჭოთა რუსეთის. რაა ამ ორ მოვლენას შორის საერთო? ჩვენებურათ — სრულიად არაფერი! ხოლო მენშევიკურათ კი თითქმის ყველაფერი!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ერთი მაინც მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას, სახელდობრ ის, რაც მენშევიკებს თავში ლურსმანივით ჩარჭობიათ და მათ ტვინს მოსვენებას არ აძლევს, — თავზარდაცემულს აყვირებს: გვიშველეთ! „ვინხართ მამაცი“, წითელი არმია შემოგვესიაო! მათი ბრძნული აზრით თუ თვითმპყრობელობას მენშევიკების გამოხატვით კავკასიის სრული დამონება სურდა, სამაგიეროთ საბჭოთა რუსეთს სასნოვსკის თქმით კავკასიის დ ა პ ყ რ ო ბ ა სურს. აი რა სცემს ჩვენს მთავრობას თავზარს!

მარა ჩვენ სრული საბუთი გვაქვს დავამშვიდოთ ნერვებ აფორიაქებული მენშევიკური მმართველი პარტია და დაყვავებით ვუთხრათ მას: ნუ შიშობ! ხომ იცი: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. „დაპყრობა“ საქართველოის იმ აზრით, როგორც გგონია, როგორც გესმის, ისე სრულიადაც არავის არ სურს; მარა არ შეგვიძლია ეს წყეული სიტყვა დაპყრობა ისევ არ გ ა ვ ი მ ე ო რ ო თ და არ ვ თ ქ ვ ა თ, სწორეთ იმ აზრით როგორც ეს ამას წინათ ვთქვით და შეშინებულმა ხალხმა მართლა ნამდვილ, სამხედრო დაპყრობა-აოხრება აწიოკებათ მიიღო.

თქვენც ხომ ერთ დროს „პროფესიონალი რევოლიუციონერები იყავით“ და მიკვირს რატომ არ გაგონდებათ, თუ როგორ ხშირათ იკვეხებოდით ხოლმე, რომ „ბათუმი, ან ქუთაისი დ ა ვ ი პ ყ ა რ ი თ ფედერალისტებთან ბრძოლაშიო“. თქვე „დალოცვილებო“! რათ დაგავიწყდათ, რომ თქვენ მათ მხოლოთ სიტყვებით და „კენჭებით“ ებრძოდით და არა „ხიშტითა და ზარბაზნით“, რაც თქვენ ახლა ცხადში და სიზმარში გელანდებათ წითელი არმიის და საბჭოთა რუსეთის ხსენებაზე.

საბჭოთა რუსეთს და ბოლშევიზმს ხიშტებისა და ზარბაზნების გარდა სხვა ბევრი რამ იარაღიც აქვს, რომლის საშუალებითაც ის მშრომელთა მასების ყურადღებას იპყრობს და ამნაირათ მშრომელებს ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ამკვიდრებს, აბატონებს სხვანაირათ ამ ტერიტორიას „ი პ ყ რ ო ბ ი“. ნუ თუ ასეთი დაპყრობაც თქვენ აგრესიულობათ მიგაჩნიათ? არა გვგონია. თქვენ კარგათ გესმით, თუ რას ნიშნავს ჩვენებურათ, კომუნისტურათ დ ა პ ყ რ ო ბ ს. თქვენ იცით, რომ ეს ნიშნავს: საქართველოში საბჭოთა სისტემის შემოღებას, ეს ნიშნავს ძალა-უფლების საქართველოს მუშათა კლასის ხელში გადასვლას და მაშასადამე თქვენი ხელიდან მის გამოგლეჯას. აი რა ქცემს თქვენ თავზარს! და არა ის, ვითომ საბჭოთა რუსეთს რუსეთში სასნოვსკის და ჩვენში რ. კ. განცხადებით საქართველოს „დაპყრობა“, თქვენებურათ — აოხრება-განადგურება სურდეს!

რ. კ.

## ადგილობრივი პრესა.

„ერთობას“ სრულიად დაუკარგავს სულიერი სიმშვიდე და გაწიწმატებული უშვერი სიტყვებით გვლანძღავს მხოლოთ იმის გამო, რომ ჩვენ შეძლების დაგვარათ გავაშუქეთ ამიერ-კავკასიის საქმეთა ვითარება. გაზეთი შარებს გვდებს და ერთი მეორეზე უარეს შეუსაბამობას გვწამებს:

„გაზეთი ოფლს ღვრის იმის დასამტკიცებლათ, რომ სომხეთი არ უნდა მოურიგდეს საქართველოს, არ უნდა გადაჭრას მასთან საზღვრების საკითხი, არ უნდა დაივიწყოს ბორჩალოს ომის ამბავი და სხ. ერთი სიტყვით, იგი ცდილობს სომხეთი გადაკიდოს საქართველოს და სამაგიეროთ დაუმეგობროს ადერბეიჯანს“.

სად ამოიკითხა „ერთობამ“ მსგავსი რამ და რაში დაინახა ჩვენი ოფლის ღვრა იმის სასარგებლოთ, რომ სომხეთი არ მოურიგდეს საქართველოს? ჩვენ ვწერდით: „მართალია, ძველი ცოდვები, რომელთაც ახლო წარსულში ადგილი ქონდათ საქართველოსა და სომხეთს შუა, დღესაც მწვავეთ საგრძნობია, მეტადრე სომხეთისათვის, მაგრამ საქართველოს მესვეურნი მაინც იმედოვნებენ ეს კავშირი შეკრან და სომხეთთან კეთილი მეზობლობა იქონიონ. ვინ უშლით მერე? ან აქამდე სად იყვნენ, რომ არ მოაწესრიგეს ბორჩალოს და სხვა საკითხები?“

მართალია, ჩვენ საეჭვოთ მიგვაჩნია შექმნილ პირობებში სომხეთ-საქართველოს მორიგება, რადგან სომხეთს სადავო ადგილები თავის უდავო კუთვნილებათ მიაჩნია, ხოლო საქართველო მას ოსმალეთის სომხეთისკენ უთითებს და ურჩევს იქ აინაზღაუროს აქაური ზარალი. მაგრამ ჩვენ ისე არაფერი არ გვესიამოვნება, რადგანაც ის, რომ ეს ჩვენი შეფასება მართალი არ გამოდგეს და სომხეთ-საქართველომ შესძლონ სადავო საკითხების მშვიდობიანათ გადაჭრა.

„ერთობა“ გვეკითხება, სომხეთ-აზერბაიჯანის ზავი ჩვენთვის საზარალოთ არ მიგვაჩნიაო. არც უნდა მიაჩნდეს, ნას რომ შეთვისებული ქონდეს სადი საგარეო პოლიტიკის აზრი.

ამ ფიცთან ერთად ის ასე იჯერებს ჩვენზე გულს:

„მაგრამ კომუნისტებს უნდათ ეს ზავი გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ, მისი გეგმიანის დასამხობათ, როგორც ისინი ამბობენ, და სამაგიეროთ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა რუსეთის გავლენის გასამტკიცებლათ, ე. ი. უცხო ძალის აგენტებათ გამოდიან და თავის ქვეყანას, რომლის დამოუკიდებულობას თითქო აღიარებენ, ასე იოლათ და გაბედულათ ყიდიან. არც კი მალავენ ამ თავის გამცემლობას“.

რომ საბჭოთა რუსეთის და საერთოთ სოციალისტური პროლეტარიატის გავლენის გაფართოება და განმტკიცება მთელ ქვეყნიერებაზე ჩვენ დიდათ გვგვახარებს, ეს ისე აშკარაა, რომ სულაც არ საჭიროებს განსაკუთრებულ მტკიცებას, როგორც ამას სჩადის „ერთობა“ თითქო ამერიკა აღმოუჩენიაო. ამას „ერთობა“ გამცემლობას უწოდებს და ბრალსა გვდებს თითქო ამით ჩვენ ვყიდდეთ იმ ქვეყანას, რომლის დამოუკიდებლობას ვაღიარებთ. ერთი გვიბრძანოს „ერთობამ“, რომელ სახელმწიფოს უზრუნველ უყვია რომელიმე ერის დამოუკიდებულობა გარდა საბჭოთა რუსეთისა?. ან იქნებ მისთვის ფაქტი არ არის ესტონეთის, ლატვიის დამოუკიდებულება? ან ინქნებ პოლონეთის დამოუკიდებლობა შელახა რუსეთმა, რომელსაც მის მიერ დამოუკიდებლათ აღიარებული პოლონეთი ასე უდიერათ თავს დაესხა? ან იქნებ თვით საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა რომელიმე სახელმწიფომ, თუნდაც მათ ამაზე სიტყვის მეტი არა ეხარჯებოდათ რა? პირიქით, ხომ საქართველოს საზღვრებთან საბჭოთა ჯარების მოახლოებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა ფაქტიურათ აღიარეს არა დამოუკიდებლობა, არამედ მხოლოთ მთავრობა საქართველოსი; ამავე დროს კი საბჭოთა რუსეთმა მიუკიბ-მოუკიბავათ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და შექმნა პირობები ამ დამოუკიდებლობის რეალობისა. რაღათ გიკვირთ, თუ მთელი ჩვენი სიმპატია საბჭოთა რუსეთის მხარეზეა? „შპიკები, აგენტები, მოღალატენი“ გვამკობს „ერთობა“ ამ ეპიტეტებით. ასევე ამკობდენ ყველა დიდ რევოლიუციონერებს და სოციალისტებს ხალხის აშკარა მტრები. „ერთობას“ არ უნდა მათ ჩამორჩეს. მისი ნებაა.

**მშრომელნო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით წითელ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის უძლეველ დროშის ქვეშ!**

## ინტერნაციონალის გარშემო.

**კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი პეტერბურგში.**

**ამხ. ლენინის სიტყვა.**

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 26).

**სამხედრო ტალღები ჩერდება.**

ომმა საშინლათ გაამწვავა ყველა კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, ამაშია წყარო იმ ულრმეს რევოლიუციონურ შფოთვის, რომელიც სულ უფრო იზრდება, ვინაიდან ომში ადამიანები სამხედრო დისციპლინის პირობებში იყო მომწყვდეული, სასიკვდილოთ იყვენ გარეკილი, ან დაუყონებლივ სამხედრო გასამართლების შიშს ქვეშ იმყოფებიან. ომის პირობები შეძლებას არ გვაძლევდა დაგვენახა ეკონომიური სინამდვილე. მწერლები, პოეტები, ხუცები, მთელი პრესა საქმით მხოლოდ და მარტო ომს ადიდებდენ. ახლა, როდესაც ომი გათავდა, დაიწყო გამომჟღავნებანი. გამომჟღავნებულია გერმანიის იმპერიალიზმი მის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით. გამომჟღავნებულია ვერსალის ზავი, რომელიც უნდა ყოფილიყო იმპერიალიზმის გამარჯვება, და აღმოჩნდა კი მისი დამარცხება. კეინსის მაგალითი, სხვათა შორის, გვიჩვენებს, თუ როგორ ათი და ასი ათასი ადამიანი წვრილ ბურჟუაზიიდან, ინტელიგენტებიდან, უბრალოთ ცოტათი განვითარებულ, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანების რიცხვიდან ევროპაში და ამერიკაში უნდა წასულიყვნენ ამ ბილიკით, რომლითაც წავიდა კეინსი, რომელიც გადადგა და ცხვირ-პირში ესროლა თავის მთავრობას მისი გამომჟღავნების წიგნი. კეინსმა დაგვანახა, თუ რა ხდება და რა მოხდება ათას და ორი ათას ადამიანის შეგნებაში, როდესაც ისინი გაიგებენ, რომ ყველა ეს სიტყვები „თავისუფლებისთვის ომის“ და სხვა ამგვარის შესახებ მტკნარი სიცრუე იყო, რომ ბოლოს და ბოლოს გამდიდრდა მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი, დანარჩენი კი გაღარიბდა და მონობაში ჩავარდა. ბურჟუა კეინსი ხომ ამბობს, რომ ინგლისელებმა თავისი სიცოცხლის გადასარჩენათ, ინგლისის მეურნეობის გადასარჩენათ უნდა შეეცადონ, რათა განახლებულ იქნას თავისუფალი სავაჭრო დამოკიდებულებანი რუსეთსა და გერმანიას შორის! როგორ შეიძლება ამის მიღწევა? იმ გვარათ, რომ ანულიაცია უყვიათ ყველა ვალებს, როგორ რჩევასაც კეინსი იძლევა, ეს ჯერ არის მარტო ერთი მეცნიერ ეკონომისტის კეინსის იდეია, ამ იდეიას ითვისებენ და შეითვისებენ მილიონები. და მილიონი ადამიანი ჰგონებს, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები ამბობენ; გამოსავალი არ არის გარდა ვალების ანულიაციისა, და ამიტომაც „წყეულ იყვენ ბოლშევიკები“ (რომლებმაც ანულიაცია უყვეს ვალებს) და მოდი მივმართოთ ამერიკის „კეთილშობილებას“!! — მე ვფიქრობდი,

რომ ბოლშევიზმის ასეთ ეკონომისტ-აგიტატორებისთვის საჭირო იყო გაგვეგზავნა სამადლობელი ადრესი კომუნისტურ ინტერნაციონალის ყრილობის სახელით.

თუ ერთი მხრით, მამების ეკონომიური მდგომარეობა აუტანელი აღმოჩნდა, თუ მეორე მხრით ყოვლად შემძლე გამარჯვებულ ქვეყნების ერთ მუჭა უმცირესობაში დაიწყო და ძლიერდება დაშლა, რომელსაც გვისურათებს კეინსი, მაშინ ჩვენ თვალწინ არის სწორეთ მსოფლიო რევოლიუციას ზრდის ორივე პირობა.

**ხალხთა ლიგა.**

ჩვენ თვალ წინ გვაქვს ახლა მთელი მსოფლიოს რამდენიმე სრული სურათი. ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს დამოკიდებულება ერთი მუჭა მდიდრებისაგან $1\frac{1}{4}$ მილიარდ მცხოვრების, რომელიც ჩაყენებულია არსებობის შეუძლებელ პირობებში. ხოლო, მეორე მხრით, როდესაც მიართვეს ხალხებს ხალხთა ლიგის ხელშეკრულება, რომლითაც გამოცხადებულია მის მერ, რომ მან შესწყვიტა ომი და დღეიდან არავის არ მისცემს ნებას დაარღვიოს ზავი, როდესაც ეს ხელშეკრულება, როგორც უკანასკნელი იმედი. მშრომელთა მასებისა მთელ მსოფლიოზე, ძალაში შევიდა, ეს აღმოჩნდა ჩვენი უდიდესი გამარჯვება. როდესაც ის ჯერ კიდევ ძალაში არ იყო შესული, ამბობდენ: შეუძლებელია ისეთი ქვეყანა, როგორიც არის გერმანია, არ დაუმორჩილოთ განსაკუთრებულ პირობებს, აი, როდესაც იქნება ხელშეკრულება, ნახავთ თუ როგორ კარგი გამოვა ეს. და როდესაც ხელშეკრულება გამოქვეყნებულ იქნა, ბალშევიზმის მოწინაალმდეგეებს ზურგი უნდა შეექციათ მისთვის! როდესაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა, აღმოჩნდა, რომ უმდიდრეს ქვეყნების უმნიშვნელო ჯგუფს, ამ „მომსხო ოთხს“—კლემანსოს, ლოიდ-ჯორჯს, ორლანდოს და ვილსონს—მიანდვეს მოაწყონ ახალი ურთიერთობანი. როდესაც აამუშავეს ხელშეკრულების მანქანა, მან გამოიწვია სრული დაშლა!

**ანტანტის ომი რუსეთის წინაალმდეგ**

ეს დავინახეთ ჩვენ ომებიდან რუსეთის წინაალმდეგ. რუსეთი, გაპერანებული, ყველაზე მეტად ჩამორჩენილი ქვეყანა—ყველა ნაციების წინაალმდეგ, მებრძოლი უძლიერეს სახელმწიფოების ერთ მუჭა მდიდართა კავშირის წინაალმდეგ, რომელიც ბატონობს მთელ დედამიწაზე, გამარჯვებული გამოდის. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვეპირდაპირებია, რამდენიმე თანასწორი ძალა, და გამარჯვებული კი აღმოვჩნდით. რატომ? იმიტომ რომ მათში არ იყო ერთობის აჩრდილიც, იმიტომ რომ ერთი სახელმწიფო მოქმედებდა მეორის წინაალმდეგ. საფრანგეთს უნდოდა, რომ რუსეთს გაესტუმრებია მისი ვალები და მუქარის ძალა ყოფილიყო გერმანიის წინაალმდეგ; ინგლისს კი უნდოდა რუსეთის დანაწილება; ის შეეცადა ხელში ჩაეგდო ბაქოს ნავთი და ხელშეკრულება დაედო რუსეთის განაპირა კუთხეების სახელმწიფოებთან; ინგლისის ოფიციალურ დოკუმენტებში არის წიგნი, სადაც ჩამოთვლილია არაჩვეულებრივ კეთილსინდისიერობით ყველა სახელმწიფოები (თოთხმეტამდისაა), რომლებიც დაპირდენ ნახევარი წლის უკან, დეკემბერში, 1919 წ. მოსკოვის და პეტერბურგის აღებას. ამ სახელმწიფოებზე აშენებდა ინგლისი თავის პოლიტიკას, მილიონობით აძლევდა მათ სესხს. მაგრამ ახლა ყველა ეს ანგარიშები გაკოტრდა და ყველა ეს სესხები გაფრინდა.

**ხალხთა ლიგა ეს საუკეთესო აგიტატორია**

აი მდგომარეობა, რომელიც შექმნა ხალხთა ლიგამ. ამ ხელშეკრულების არსებობის ყოველი დღე ბალშევიზმის საუკეთესო აგიტაციაა, ვინაიდან კაპიტალისტურ „წესიერების“ ყველაზე უძლიერესი მომხრეები გვაჩვენებენ, რომ თვითეულ საკითხზე ისინი კვანტს უდებენ ერთიმეორეს. ოსმალეთის, სპარსეთის, მესოპოტამიის, ჩინეთის განაწილებისათვის გაშმაგებით უბღვერენ ერთიმეორეს იაპონია, ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი. ამ ქვეყნების ბურჟუაზიული პრესა სავსეა მეტად გაფთრებული თავდასხმით, მეტად გაბრაზებულ გამოსვლებით თავის „კოლეგების“ წინაალმდეგ იმისთვის, რომ ისინი ცხვირის წინ გლეჯენ ერთი მეორეს ნადავლს. ჩვენ ვხედავთ უმდიდრეს ქვეყნების იმ უმნიშვნელო რიცხვში სრულ დაშლას. შეუძლებელია $1\frac{1}{4}$ მილიარდ. მცხოვრებისა დარჩეს იმ მონურ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩააგდო „მოწინავე“ და „განათლებულმა“ კაპიტალიზმმა, და ამავე დროს კიდევ ის დედამიწის მთელ მცხოვრებთა 70% შეადგენს. ხოლო უმდიდრეს ქვეყნების უმნიშვნელო ჯგუფი, ინგლისი, ამერიკა, იაპონია, რომელსაც შეძლება ქონდა ეძარცვა აღმოსავლეთის, აზიის ქვეყნები, მაგრამ რომელსაც არავითარი დამოუკიდებელი ფინანსიური და სამხედრო ძალა არ შეუძლია ქონდეს მეორე ქვეყნის დაუხმარებლათ, ამ 2—3 ქვეყანას არ ძალუძს მოაგვაროს ეკონომიური ურთიერთობანი და მიმართავს თავის პოლიტიკას მასთან ერთად ხალხთა ლიგაში მონაწილეობის და პარტნიორების პოლიტიკის ჩაფუშვისაკენ.

**აქედან გამომდინარეობს მსოფლიო კრიზისი.**

აქედან გამომდინარეობს მსოფლიო კრიზისი. და კრიზისის ეს ეკონომიური ფესვები ძირითადი მიზეზია იმისი, თუ რატომ იგემა. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ასეთი ბრწყინვალე ნაყოფიერი შედეგები.

ამხანაგებო! ჩვენ ახლა უნდა შევეხოთ რევოლიუციონურ - კრიზისის შესახებ კითხვას, როგორც ჩვენი რევოლიუციონურ მოქმედების საფუძველს. და აქვე, უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ორი გავრცელებული შეცდომა. ერთი მხრით, ბურჟუაზიულ ეკონომისტები გვიხატავენ ამ კრიზისს, როგორც უბრალო „წუხილს“ ინგლისელების მშვენიერი გამოთქმით. მეორე მხრით, ხანდისხან რევოლიუციონერებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კრიზისი სავსებით გამოუსავალია.

ეს შეცდომაა. აბსოლუტურათ გამოუსავალი მდგომარეობა არ არის და არც შეიძლება იყოს. გარეტიანებული ბურჟუაზია კიდევ ჩადის სისულელეს სისულელეზე, ამწვავებს მდგომარეობას და მით აჩქარებს თავის დაღუპვას. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ არ შეიძლება იმის „დამტკიცება“, რომ არავითარი საშვალება არ არის აბსოლუტურათ იმისთვის, რომ მან არ დააძინოს გაყვლეფილთა ესა თუ ის უმცირესობა ამა თუ იმ დათმობებით, რომ არ ჩაახშოს ესა თუ ის მოძრაობა ანუ აჯანყება გაყვლეფილთა და დაჩაგრულთა ამა თუ იმ ნაწილის. წინდაწინ „აბსოლუტურათ“ გამოუსავლობის „დამტკიცების“ ცდა იქნებოდა ცალიერი პედანტობა ან და აზრებით და სიტყვებით თამაში. ნამდვილი „დამამტკიცებელი საბუთი“ ამის და ამგვარ კითხვების შეიძლება იყვეს მხოლოდ პრაქტიკა. ბურჟუაზიული წყობილება მთელ მსოფლიოზე განიცდის უდიდეს რევოლიუციონურ პარტიების პრაქტიკით, რომ მათ აქვთ საკმარისი შეგნება, ორგანიზაციული სიმტკიცე, კავშირი გაყვეფილ მასებთან, გამბედაობა, მოხერხება, რომ გამოიყენონ ეს კრიზისი ნაყოფიერ, ძლევამოსილ რევოლიუციისთვის.

ამ „დამტკიცებისათვის“ მოსამზადებლათ შევიკრიბეთ ჩვენ, უმთავრესათ კომუნისტები ინტერნაციონალის ამ კონგრესზე.

**ოპორტუნიზმი რევოლიუციონურ კრიზისის დროს.**

იმის მაგალითისთვის, თუ რამდენათ ბატონობს ჯერ კიდევ ოპორტიუნიზმი იმ პარტიებში, რომლებსაც სურთ მიემხრონ მესამე ინრერნაციონალს, თუ რამდენათ შორს არის ჯერ კიდევ ზოგიერთი პარტიების მუშაობა რევოლიუციონურ კლასის მომზადებისაგან რევოლიუციონურ კრიზისის გამოყენებისაკენ, მე მოვიყვან ინგლისის „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის“ ლიდერის, რამზეი მაკდონალდის სიტყვებს. თავის წიგნში: „პარლამენტი და რევოლიუცია“, რომელიც უძღვნა სწორეთ რომ იმ ძირითად საკითხებს, რომელსაც ვეხებით ჩვენ ახლა, მაკდონალდი აგვიწერს საქმეთა მდგომარეობას დაახლოებით ბურჟუაზიულ პაციფისტის თემაზე. ის აღიარებს, რომ რევოლიუციონური კრიზისი არის, რომ რევოლიუციონური განწყობილება იზრდება, რომ მუშათა მასები თანაუგრძნობენ საბჭოთა ძალა-უფლებას და პროლეტარიატის დიქტატურას (კარგათ დაიმახსოვრეთ: ლაპარაკია ინგლისზე), რომ პროლეტარიატის დიქტატურა უკეთესია, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზიის დღევანდელი დიქტატურა.

მაგრამ მაკდონალდი მაინც წმინდა წყლის ბურჟუაზიულ პაციფისტათ და შემთანხმებელ წვრილ ბურჟუათ რჩება, რომელიც ოცნებობს ზეკლასიურ მთავრობაზე. მაკდონალდი სცნობს კლასთა ბრძოლას, მხოლოდ, როგორც „ასაწერ ფაქტს“, ცრუპენტელების, სოფისტების და ბურჟუაზიის პედანტების მაგივრათ. მაკდონალდი სიჩუმით უვლის გვერდს კერენსკის და მენშევიკ-ესერების თავზე გადახდილ ცდას რუსეთში, ერთნაირ გამოცდილებას ჰუნგრეთში, გერმანიაში და სხ. „დემოკრატიულ“ და ვითომდა, ზე-კლასიურ მთავრობის შექმნის შესახებ. მაკდონალდი აძინებს თავის პარტიას და იმ მუშებს, რომლებიც თვლიან ამ ბურჟუას და ფილისტერს სოციალისტთა ბელადათ სიტყვებით: „ჩვენ ვიცით, რომ ეს (ე. ი. რევოლიუციონური კრიზისი, რევოლიუციონური შფოთვა) გაივლის, დადგება“. ომმა აუცილებლად გამოიწვია კრიზისიო, მაგრამ ომის შემდეგ, თუ გინდ მალე არა, მაგრამ მაინც „ყველაფერი თავის რიგზე დადგება“!

და ასე სწერს კაცი, რომელიც ითვლება იმ პარტიის ბელადათ, რომელსაც სურს მიემხროს მე-3 ინტერნაციონალს. ჩვენ გვაქვს აქ სიაშკარავით იშვიათი, მაგრამ მით უფრო ძვირფასი გამომჟღავნება იმისი, რასაც არა ნაკლებ ხშირათ აქვს ადგილი საფრანგეთის სოციალისტურ და გერმანიის „დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ“ პარტიების ზედაპირში, სახელდობრ:

არა მარტო არცოდნა, არამედ არ მონდომებაც გამოიყენონ რევოლიუციონურათ რევოლიუციონური კრიზისი, ან, სხვა სიტყვებით, არც ცოდნაც და არც სურვილიც აწარმოვონ პარტიების და კლასის ნამდვილი რევოლიუციონური მომზადება პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ეს ძირიდათი ბოროტებაა ძალიან ბევრი პარტიების, რომლებიც გამოდიან ახლა მე-2 ინტერნაციონალიდან. და სწორეთ ამიტომ მე ყველაზე მეტს შევჩერდები იმ თეზისებზე, რომლებიც წარვუდგინე მე ამ კონგრესს, პროლეტარიატის დიქტატურისთვის მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს მიზანზე რაც შეიძლება მეტად კონკრეტიულათ და სისწორით განმარტებაზე.

**ოტო ბაუერის წიგნი**

კიდევ ერთი მაგალითი. ახლახან გამოქვეყნებულია ახალი წიგნი ბალშევიზმის წინაალმდეგ. ასეთი წიგნები დღეს ევროპაში და ამერიკაში არაჩვეულებრივათ ბევრი გამოდის, და რაც უფრო მეტი წიგნები გამოდის ბალშევიზმის წინაალმდეგ, მით უფრო მძლავრათ და ჩქარა იზრდება მასებში სიმპატიები მის მიმართ. მე სახეში მაქვს ოტო ბაუერის წიგნი: „ბალშევიზმი თუ სოციალ-დემოკრატია“?

# ევროპიელ-ამერიკელი და რუსი მუშა.

I.

დღეს უკვე აშკარა და უდაოა გაბახება იმ დიდ და პატარა წინასწარმეტყველების, რომელნიც დღიდან რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციისა ირწმუნებოდენ: ბალშევიკების „ავანტიურა“ უსათუოდ დაეცემა სულ მოკლე **ხანში**. ჯერ ორიოდე დღის ვადას იძლეოდენ, შემდეგ რამდენიმე კვირეს, მერმე თვალებ დაჭყეტილები—რამოდენიმე თვესაც უწყალობებდენ რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობას, ბოლოს თვალებ გადმოკარკლულები წელიწადზედაც ავიდენ! მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი არ მოესმათ, საპატარძლო ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც ასე გულის ფანცქალით ელოდენ ჩვენი სასიძოები, რომელსაც უმღერდენ და უგალობდენ, უხმობდენ და უკიოდენ არ გამოჩნდა. მაშინ, იმედების გაცრუების ალით გულში, ხელები ჩაიქნია ზოგმა მან წინასწარმეტყველმა და რქვა: რუსეთი ილია მურომეცის განსახიერებაა, ასი წლის მხართეძოზე გორაობის შემდეგ ის უეცრად წამოვარდება ზეზე, გაიზმორება, კეტს მოკიდებს ხელს და მუსრს გაავლებს ყოველივეს, რათა ნგრევის და განადგურების შემდეგ კვლავ წამოწვეს და ახალ მეფეს მიანდოს ქვეყნის მართვა-პატრონობაო, მით უმეტეს, რომ თემური მიწათმფლობელობა, მიწაზე საზოგადო საკუთრების წესი ხელს უწყობდა და უწყობს პიროვნების სრულიად მოსპობას, მის წელში გამართვას და საკუთარი სახის გამოჩენას, როგორც ეს ჩვენს კეკლუც სამშობლოშიაო, სადაც ევროპიული კერძო საკუთრებაზე ვართ წამოსკუპული და ფეხმომაგრებული, სადაც ხალხის სულიერ ძალთა გამომხატველი სიმბოლო და ემბლემა ილია მურომეცი ან ლუარსაბ თათქარიძე კი არ არის, არამედ ვერცხლის წყალივით მომძრავი, ჩაგრულთა მფარველი, ღარიბ-ღატაკთა შემწე თეთრი გიორგია. მგონი, ამ „თეორიაზე“ შეჩერდენ, ასეთი სოციოლოგიური სიბრძნის ლეჭვას და ცოხნას შეექცევიან, და შორიდან უყეფენ საბჭოთა რუსეთს, სადაც თურმე არსებობს მხოლოდ კომისრების (ან დიდი-დიდი კომუნისტური პარტიის) დიქტატურა, ხოლო მათ ჯარს წარმოადგენენ „ხიტროვო ბაზრის“ ბოსიაკები (წინანდელ ლატიშებს და ჩინელებს ახლა ნაკლებად იხსენიებენ). მართალია ზოგჯერ, საზეიმო შემთხვევებში სიტყვას ჩამოაგდებენ „ორ ძმურ ხალხზე“ და მათ მიერ სოციალისტურ აღმშენებლობაზე, მარა ასეთი მამულიშვილური და ოჯახიშვილური თავაზიანობა ოდნავთაც არ არყევს ძირითად „სოციოლოგიური“ კვლევის დებულებას რუსეთის დიქტატურის ბუნების და შემადგენლობის შესახებ.

თუ კი რამე აზრის მარცვალი მაინც მოიძებნება ამ „საბუთებში“, თუ კი რომ თეთრეტიული მოსაზრებას აღმოაჩენს ადამიანი მიკროსკოპით მაინც ამ წვრილ-ბურჟუაზიულ აბდა უბდაში, ეს აზრი და მოსაზრება ასეთი უნდა იყოს: როგორ შეიძლება რომ პროლეტარიატი გაბატონდეს პოლიტიკურათ, თავისი კლასიური დიქტატურა გამოაცხადოს და სოციალისტურ აღმშენებლობას შეუდგეს ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც იყო და არის რუსეთი, და ისიც მაშინ, როცა დაწინაურებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ მომხდარა პროლეტარული, სოციალისტური რევოლიუცია? როგორ მოხდა, რომ ჩამორჩენილ რუსეთში ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული დემოკრატიის პოლიტიკური ბატონობა სულ რამდენიმე თვეს გაგრძელდა და ადგილი დაუთმო მუშურ-გლეხურ მთავრობას საბჭოთა რესპუბლიკის სახით?

აი რა საკითხი ღირსის ჩვენებურ გახუნებულ წინასწარმეტყველებს აი რა აბრაზებს ჩვენებურ დემოკრატებს, რამდენათაც ისინი ცდილობენ რუსეთის რევოლიუციის სავალი გზის გათვალისწინებას, რამდენათაც ისინი კეთილსინდისიერათ ერკვევიან იმ ნაკლებ სასიამოვნო მოვლენაში, რომ ისინი, თებერვლის რევოლიუციის ტალღებით ზევით ამოტივტივებულები, ოქტომბრის რევოლიუციის მუჯლუგუნით გადასროლილ იქნენ რევოლიუციის მაღალ პოსტიდან შორს, საქართველოს ორ გუბერნიის დიქტატურებად.

რუსეთი აზია არის, ცოტა დაგვიანებით გაიძახიან ეს შეურაცყოფილნი და რუსეთიდან ლტოლვილნი. რუსეთის კომუნისტები აზიელების იდეოლოგებია, აზიელების იმედით უდგიათ სული, რადგან ე ვ რ ო პ ა მ მათ ზურგი შეაქცია; მათი გაჩარხული კომუნისტური ინტერნაციონალი აზიის ბეჭედით არის აღბეჭდილი, მათი პროლეტარული მასსებიც აზიელები იყვენ და არიან ევროპის და ამერიკის მუშებთან შედარებით!

ჩვენს გაზეთში უკვე იყო გარკვეული, თუ რა ბეჭედი ესვა მესამე ინტერნაციონალის პირველ კონგრესს, თუ რა პოლიტიკის მატარებელი იყო მთელი წლის განმავლობაში მისი აღმასრულებელი ორგანო. ამ ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დიადმა სანახაობამ ყრუ და ბრმების შეგნებაშიც კი შეანათა და უკბილო ოხუნჯი თუ მაგინებელი ჩააჩუმა. რაც შეეხება რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციურ წონას და მნიშვნელობას, ჩვენ წინადადება მივეცით ქართველ დემოკრატიის „თეორეტიკოსებს“ ნაცვლად ზეპირსიტყვაობით აზიელებში (სიტყვის ცუდ მნიშვნელობით) ჩარიცხვისა რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, ლატვიის, ფინლიანდიის და სხ. მუშების, გაეხსენებიათ მაინც თავიანთ მკითხველებისათვის თუ რა აზრის იყვენ ამის შესახებ ჭეშმარიტი მარქსისტები. მათ ეს არ ინებეს—ნება მათია. ჩვენ გვიხდება მათ ძაგიერ მათივე აბლაბუდას დარღვევა. ამ მიზნით ჩვენი მკითხველის (და „ერთობის“ მკითხველისაც) ყურადღებას შევაჩერებთ იმ მასალებზე, რომელსაც იძლევა მარქსისტული ლიტერატურა ამ საკითხში. მოვიყვანთ მხოლოდ მცირე ნაწილის ამ მასალას, მოვიყვანთ დაუმუშავებლად, ნედლი მასალის სახით.

საკითხი მართლაც რომ საინტერესო და სერიოზულიცაა.

ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატი, თანამედროვე მუშათა კლასი კაპიტალიზმის შვილია, რომ რამდენათაც ვითარდება კაპიტალი, იმდენათვე ვითარდება პროლეტარიატი. ვიცით, რომ ის არის მესაფლავე კაპიტალისტური წესწყობილების, რომ ბურჟუაზიის დასამარებით ის თავის თავსაც და მთელ კაცობრიობასაც გაათავისუფლებს, რომ მისი ბრძოლა ბურჟუაზიის წინაალმდეგ მისი არსებობის დღიდან იწყება. მაგრამ რა პირობებია საჭირო, რომ მან ეს თავისი ისტორიული დანიშნულება შეასრულოს? მთელი მარქსიზმის სოციოლოგია და ფილოსოფიაც ამაზე უპასუხებს: ობიექტიური და სუბიექტიური პირობებით. ობიექტიურ პირობებს არსებული საწარმოო ძალთა, კაპიტალიზმის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის მიღწეული დონე წარმოადგენს, ხოლო სუბიექტიური აუცილებელი წინასწარი პირობები სოციალისტურ რევოლიუციისა თვით მუშათა კლასის, ამ კაპიტალიზმის მესაფლავეთა სულიერი, გონებრივი, თვითშეგნების და სხ. სიმაღლის დონეზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი ფაქტორი იმდენათვე მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა სოციალისტური გადატრიალებისა, როგორც ობიექტიური მატერიალური ფაქტორები. მარქსის დებულებით, კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის მცირერიცხოვან კაპიტალისტების ხელში თან სდევს გაუზომელი სიღატაკე, დაჩაგვრა, დამონება, გადაგვარება და ექსპლოატაცია. მარა ამასთანავე ა ღ შ ფ ო თ ე ბ ა (возмущение) შეუჩერებლივ მოზარდ, გამოცდილ, თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაერთიანებულ და ორგანიზაციურად დარაზმულ მუშათა კლასისა“ (იხ. „კაპიტალი,“ ტ. I, ნემეცური გამოც. გვ. 728). აი სწორედ ამ სტიქიური აღშფოთების შეგნებაში გადატანა, შეუგნებელი პროცესის შეგნებული გამოხატულება შეადგენდა მარქსისტულ პარტიების მიზანს და მოწოდებას. მთელი მათი პროპაგანდისტული, აგიტატორული და ორგანიზატორული ბრძოლა მოქმედების მთავარი მიზანი იყო კლასისური თვითშეგნების გაღვივება, განვითარება და უმაღლეს დონეზე აყვანა. და როცა ასეთი შეგნებით „გაიტენებოდა“ პროლეტარიატი, შესაფერ ობიექტიურ ეკონომიურ პირობებში, სოციალიზმის დამყარება უკვე მხოლოდ ძალის და ძლიერების საკითხათ გადიქცეოდა.

მაგრამ საკითხავია: ყველგან და ყოველთვის არსებობს ასეთი კლასიური ფერისცვალებისათვის ხელსაყრელი პირობები? განა მარტო კულტურული ამაღლება და განათლებაა საჭირო, რომ კლასობრივმა თვითშეგნებამ მოიცვას მთელი პროლეტარიატი თუ არა, მისი საგრძნობი ნაწილი მაინც? არა, უპასუხებს ამაზე მარქსიზმი: კლასობრივი თვითშეგნების განვითარების და გაალმასების ხელსაყრელ პირობებს უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ იძლევა იგივე ეკონომიური სინამდვილე. კულტუროსნობა და განათლება აუცილებელი პირობაა, მარა თუ ეკონომიური სინამდვილის მათრახი არ მიერეკება მუშათა მასსებს მოურიგებელ, კლასობრივ წინაალმდეგობათა შეგნებისკენ, თუ სოციალიზმი მათთვის აუცილებელ მოთხოვნილებათ არ გადაქცეულა, თუ მისი შეგნება არ განუნათებია სოციალისტურ რევოლიუციის საჭიროების შეგნებას, იმ შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასი სოციალისტ. რევოლიუციისთვის მზათ არ არის და ვინც თუთიყუშივით იმეორებს: მარქსმა სთქვა, რომ სოციალისტური რევოლიუცია იქ იფეთქებს პირველად, სადაც კაპიტალიზმი უფრო ხნიერი არისო, ე. ი. ინგლისში, მას მარქსის და მარქსიზმის მოძღვრების გაგების უნარი დაუკარგავს. ა. გერცენის თქმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გერმანელები ნათლად ხედავენ, თუ ვინ არიან მენშევიკები, რომელთა სასირცხო როლი რუსეთის რევოლიუციაში საკმარისად გაგებული აქვთ ყველა ქვეყნის მუშებს. ოტო ბაუერმა გვიძღვნა წმინდა წყლის მენშევიკური პამფლეტი, თუმცა-ღა დაბალია თავისი თანაგრძნობა მენშევიზმისადმი, მაგრამ ევროპაში და ამერიკაში საჭიროა ახლა გავავრცელოთ უფრო მეტი ცოდნა იმისი, თუ რა არის მენშევიზმი, ვინაიდან ეს არის საგვარეულო შემეცნება ყველა ვითომდა სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ და სხვ. ამგვარ მიმართულებათათვის, რომლებიც მტრულად უყურებენ ბალშევიზმს, ჩვენთვის, რუსებისთვის მოსაწყენი იქნებოდა დაგვეწერა ევროპისთვის, თუ რა არის მენშევიზმი. ოტო ბაუერმა დაგვანახა ეს საქმით თავის წიგნში, და ჩვენ წინ და წინ ვუძღვნით მადლობას ბურჟუაზიულ და ოპორტიუნისტულ გამომცემლებს, რომლებიც გამოსცემენ მას და გადათარგმნიან სხვა და სხვა ენებზე. ბაუერის წიგნი სასარგებლო, თუმცაღა თავისებური, დამატება იქნება კომუნიზმის სახელმძღვანელოებისათვის. აიღეთ რომელიმე მუხლი, რომელიმე მსჯელობა ოტო ბაუერიდან და დაამტკიცეთ, რაშია იქ მენშევიზმი, რაშია იქ იმ შეხედულებათა ფესვები, რომლებსაც მივყევართ სოციალიზმის გამცემლების, კერენსკის მეგობრების, შეიდემანის და სხვ. პრაქტიკისაკენ,—ასეთი იქნება ის რომლითაც შეიძლებოდა სასარგებლოთ და ნაყოფიერათ ხელმძღვანელობა „ეგზამენებზე“ იმის გამოსაცნობათ, შეთვისებული აქვს, თუ არა კომუნიზმი, თუ თქვენ ამ ამოცანის გამოყვანა არ შეგიძლიათ, ჯერ კიდევ კომუნისტი არა ხართ და თქვენთვის უმჯობესია არ შემოხვიდეთ კომუნისტურ პარტიაში. (ტაში.)

### ძალდატანება.

ოტო ბაუერმა საუცხოვოთ გამოხატა მსოფლიო ოპორტუნიზმის შეხედულებათა მთელი არსი ერთ ფრაზაში, რისთვისაც, ჩვენ რომ ვენაში ვყოფილიყავით, სიცოცხლეშივე უნდა დაგვედგა ძეგლი მისთვის. ძალდატანების ხმარება თანამედროვე დემოკრატების კლასიურ ბრძოლაში—გაჰკივის ოტო ბაუერი—იქნებოდა „ძალდატანება ძალის სოციალურ ფაქტორებზე“.

თქვენთვის ალბათ საკვირველი და გაუგებარია ეს. თქვენ ნიმუში ხართ იმისი, თუ სანამდის ჩამოაქვეითეს მარქსიზმი, თუ როგორი გახრწნილებისა და მყვლეფელების დაცვამდე შეიძლება მეტის მეტად რევოლიუციონურ თეორიის დაყვანა. საჭიროა მეშჩანობის გერმანული მრავალფეროვნობა, და თქვენ მიიღებთ „თეორიას“, რომ „ძალის სოციალურ-ფაქტორები“, ეს არის რიცხვი, მჭიდროთ შეკავშირება, ადვილი წარმოების დ განაწილების პროცესში, აქტივობა განათლება-განვითარება. თუ ბოგანო გლეხი სოფელში, მუშა ქალაქში ხმარობს რევოლუციონურ ძალდატანებას მემამულეებზე და კაპიტალისტებზე, ეს თურმე სრულიადაც არ არის პროლეტარიატის დიქტატურა, სრულიადაც არ არის ძალდატანება ხალხის მყვლეფელებზე და მჩაგვრელებზე. სრულიადაც არა. ეს არის „ძალდატანება ძალის სოციალურ ფაქტორებზე“.

შეიძლება ჩემი მაგალითი ცოტათი იუმორისტულიც გამოვიდა. მაგრამ თანამედროვე ოპორტიუნიზმის ბუნება ისეთია, რომ მისი ბრძოლა ბალშევიზმთან იუმორისტიკათ იქცევა. მუშათა კლასის ჩათრევა ინტერნაციონალურ მენშევიზმის (რ. მაკედონალ, ო. ბაუერი და კომპ.) ბალშევიზმთან ბრძოლაში,—ეს ევროპის და ამერიკისთვის მეტად სასარგებლო და გადაუდებელი საქმეა.

(შემდეგი იქნება).

---

მარქსიზმი „რევოლიუციის ალგებრაა“. ეს ალგებრა იძლევა კვლევის მეთოდებს, და არა გამზებულ, გაყინულ ფორმულებს.

მარქსიზმს არ ეკარგება დოგმა, სქოლასტიური ფორმულები, ის წინასწარმეტყველებს, მაგრამ შეცდომების დაშვებასაც არ უფრთხის. როგორ მოხდა, მაგალითად, რომ ძველი კაპიტალიზმის ქვეყანაში, ინგლისში, ერთად-ერთს ფართო პროლეტარულ რევოლიუციონურ მოძრაობას, ჩარტიზმს, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქონდა ადგილი, შემდეგ კი რევოლიუციონური მოძრაობა იქ შეწყდა და იმ ზომამდეც კი მივიდა პროლეტარიატის დაკნინება, რომ „მუშათა პარტიამ“ მხოლოდ 1912 წ. გაიჩინა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო (და ისიც ომის დაწყებისთანვე შეაჩერა)? როგორ მოხდა, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილ, წვრილ ბურჟუაზიულ საფრანგეთში 1848 წ. მოხდა პირველი კლასიური, სამოქალაქო ომი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის? ან რით აიხსნება, რომ უძლიერესი სოც.-დემოკრატიული პარტია აღორძინდა კაპიტალისტურად სულ ახალგაზრდა გერმანიაში და მეორე ინტერნაციონალის იდეური ცენტრიც აქ გადმოვიდა, ამ დროს კი კაპიტალიზმის აკვანის ქვეყანაში, ინგლისში გამეშჩანებული ტრედ-უნიონები წარმოადგენენ პროლეტარიატის ნაღებს?

მარქსიზმის სახელით შემფიცე წვრილ ბურჟუაზიული თუთიყუშები ამაზე ვერ გვიპასუხებენ ვერაფრით გარდა გაბერილ ფრაზების კორიანტელის დაყენებისა, ილია მურომეცის და თეთრი გიორგის ხშირი მოხსენებით.

ნამდვილი მარქსიზმი კი ხელში მოგვცემთ ასეთი ცხრაკილტულების გასაღებს თავისი კვლევა-ძიების მეთოდის სახით და გირჩევთ: გამოიკვლიეთ ეკონომიური და ისტორიული პირობებიო!

გავეცნოთ როგორ სარგებლობდენ ამ მეთოდით საუკეთესო „მარქსისტები“—მარქსი და ენგელსი.

**ნ. ვექტორი.**

---

ა. სვიდერსკი.

## სიმშილობასთან ბრძოლა რუსეთში.

(„კომუნისტ. ინტერნ.“ № 11)

იმ დროს, როდესაც სიმშილობა იმუქრება გახდეს მსოფლიო მოვლენათ, როგორც ნათელი გამომხატველი კაპიტალისტური საზოგადოებრივი წეს წყობილების სიუძლურისა, სიმშილობა, რომელიც პირდაპირი შედეგია მსოფლიო იმპერიალისტური ომის; აი ამ დროს დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ განვიხილოთ კვალ და კვალ რუსეთის მეტათ საშინელ სასურსათო გაჭირვებასთან ბრძოლის ისტორია. რუსეთი ყველა ქვეყნებზე უწინ დადგა პირის პირ სიმშილობის წინ. მან სხვა და სხვ. სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობის დროს სხვა და სხვა შიმშილობის საწინააღმდეგო ბრძოლის იარაღები გამოსცადა. რუსეთში შიმშილობასთან ბრძოლის ისტორიის განხილვა მით უფრო მნიშვნელოვანია ეხლა, როდესაც აუარებელი მასალა არის დაგროვილი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მიუდგომელი ისტორიული შესწავლა ყველა იმ ზომების, რომლის მიღება საჭირო შეიქნა შიმშილობასთან საბრძოლველათ. რუსეთის შიმშილობასთან ბრძოლის ისტორია შეიძლება დაყოფილ იქნას სამ ხანათ, რომელთაც განსაკუთრებული, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. პირველ ხანას ეკუთვნის მეფის მთავრობის ეპოქა, რომლის დროს ქვეყანა სულს ლაფავდა ბიუროკრატიულ, პოლიტიკურ წესწყობილების მუხრუჭებში. მეორე ხანა—დროებითი მთავრობის მოკლე დროის ხანა, რომლის დროს მყარდებოდა ბურჟუაზიის დიქტატურა. მესამე ხანა არის, საბჭოთა მთავრობის დრო, რომელიც პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის დიქტატურის გამოცხადებაა.

სასურსათო კრიზისმა თავი იჩინა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყების პირველ თვეებში. ამ შემთხვევაში სასურსათო მდგომარეობის გამწვავება იყო არა სურსათის ნაკლებობის შედეგი, არამედ ამისი მიზეზი იყო განსაკუთრებული ეკონომიური კონიუნქტურა, რომელიც შექმნა ომმა და რომელიც ძლიერ უწყობდა ხელს სპეკულიაციის განვითარებას.

იმ დროს, როდესაც მუშები და გლეხები მათრახების და ჯოხის შიშქვეშ იძულებული იყვნენ უთვალავი მსხვერპლი მიეტანათ ომის, უგნურ და ბოროტების სამსხვერპლოზე, იმ ომის, რომელიც წამოიწყეს მმართველმა კლასებმა, წვრილმა და მსხვილმა კაპიტალისტებმა და მემამულეებმა, რომლის დროს სამხედრო მასალების დამზადებაში, სხვა და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდების შესყიდვაში, თუ ბაზრის ფასის სისტემატიური აწევით აუარებელი სიმდიდრე შეიძინეს. კერძოთ, ბაზარზე პურის ფასმა ომის პირველ ცხრა თვის განმავლობაში აიწია 23—109 პროც. 1913—1914 წლების საშუალო ფასებთან შედარებით.

განა ამის შემდეგ საჭიროა იმის დამტკიცება, რომ მეფის მთავრობა, რომელიც ემყარებოდა მემამულეთა კლასს და პლუტოკრატიას, ორგანიულათ უძლური იყო გამოეჩინა საჭირო შორსმჭვრეტელობა ფართო მშრომელ მასსების სურსათით დაკმაყოფილების საქმეში? სასურსათო გაჭირვება კი დღითი დღე იზრდებოდა საქონელზე ფასების განუწყვეტელ აწევის გამო. მეფის მთავრობას უნდა ეწარმოებია ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ხელს არ შეუშლიდა გაბატონებულ კლასებს უსაზღვრო იოლი გამდიდრებაში, რომლის საშუალება მისცა მათ ომმა.

ამიტომაც იყო, მეფის მთავრობა მაშინვე ვერ აქცევდა ყურადღებას საქონლის ფასების უსაზღვრო ზრდას. ამიტომაც იყო, რომ მეფის მთავრობა თავდაპირველად შეუდგა სასურსათო კითხვის გადაჭრას არმიის სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ცხოვრების გაძვირებამ მშრომელ მასსაში უკმაყოფილება გამოიწვია, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ის სასურსათო კითხვის საერთო მასშტაბით გადაწყვეტას ცხადია, ამის გამო, ის ზომები, რომლებიც მეფის მთავრობის მიერ ტარდებოდა სასურსათო დარგში, იყო შემთხვევითი და პალიატიური (დროებითი) ხასიათის ზომები. ამას გარდა და რაც უფრო მთავარია—ამ ზომების დანიშნულება იყო არა იმდენათ მართლა—და სასურსათო დაბრკოლებების გადალახვა, რამდენათ ის, რომ არ ეწყენინებიათ მტაცებლებისა და ტურა-მგლებისთვის, რომლებიც სუქდებოდენ ომით და არა მქონებელ კლასების გაჭივრებით.

არმიის საჭიროებისათვის პურის დამზადების ორგანიზაცია, განსაკუთრებულ რწმუნებულების მიერ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში იყვნენ ერობების ე. ი. მემამულეების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ პურის ფასების გადიდებაში; მტკიცე ფასების დაწესება პურზე და იმავე დროს რწმუნებულების ყოველ მხრივი უფლებებით აღჭურვა, რომ შემოუარონ, გვერდი აუარონ ამ ფასებს, არ დაემორჩილონ მტკიცე ფასების კანონს; სასურსათო საქონლის ვაჭრობის საქმის მოწესრიგება (წარმოება) გუბერნატორების მიერ, რომელთაც უფლება ქონდათ უმთავრეს საჭიროების სასურსათო საგნებზე ნიხრის დაწესების—აი ასეთი იყო მცხოვრებთა გამოკვების საკითხის გადამწყვეტი საშუალებები 1916 წლის მეორე ნახევრამდის. სასურსათო და სხვა საქონლის მეპატრონეები ადვილათ ახერხებდენ მთავრობის ყველა სასურსათო ზომების შეგუებას და ამ ზომებს იყენებდენ საშუალებათ შემდეგი ფასების აწევისათვის.

მხოლოდ 1916 წლის დამლევს, როდესაც ქალაქებში და საწარმოვო ცენტრებში დაიწყო ნამდვილი სიმშილობა, რამაც მთელ რიგ ქარხნებში გამოიწვია გაფიცვები, მხოლოდ მას შემდეგ, რაც არმიას სათადარიგო სურსათი გამოელია, მხოლოდ მის შემდეგ დაადგა მეფის მთავრობა იძულებითი პურის ჩამორთმევის გზას.

მაგრამ ეს ზომა, ერთი რომ, დაგვიანებული შეიქნა, რადგან მეფის თვით მპყრობელობის დღეებში უკვე დათვლილი იყო, მეორეთ, ამ ზომების გატარება არ შეეძლო იმ მთავრობას, რომელიც ეყრდნობოდა მცირე რიცხოვან კაპატალისტების და მემამულეების ხროვას. გარდა ამისა საჭირო იყო მთავრობას ეხმარა შეიარაღებული ძალა გლეხობის წინააღმდეგ, რომლებიც ომმა მიაჩვია არა მარტო პურის ფასების სიდიდეს, არამედ რევოლიუციონურათ გამოსვლებსაც.

მეფის მთავრობის ყველა სასურსათო ზომები აშენებული იყო თავისუფალ ვაჭრობის პრინციპებზე. ამ პრინციპებში მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო ცვლილებები იყო შეტანილი. ამ სასურსათო ზომებმა, როგორც წარსულმა მაგალითმა გვაჩვენა, რომ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. თავისუფალ ვაჭრობას და „თავისუფალ თამაშს—ეკონომიური ინტერესების დაპირდაპირებას“ არ შეეძლო თავიდან აეცილებია სასურსათო კრიზისის განვითარება. მსოფლიო ომის ხანაში საუკეთესო ნიადაგი ქონდა სასურსათო კრიზისს.

მეფის მთავრობის უშედეგო ცდით, რომ იძულებითი საშვალებებით ეშოვა პური—თავდება რუსეთის სასურსათო კრიზისთან ბრძოლის პირველი ხანა. დროებითი მთავრობის დაარსებით სასურსათო პოლიტიკა გადადის განვითარების ახალ საფეხურზე.

(შემდეგი იქნება)

---

## ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### მედიკამენტები რუსეთისათვის.

**მოსკოვი**, 25 აგვ. (რადიო). ამერიკიდან რეველში გამგზავნილია რუსეთისათვის მედიკამენტები, რომელიც შეგროვილი იყო ჩვენ ამერიკელ მეგობრებს შორის, უმთავრესათ, პროფესიონალურ კავშირებში.

### მანიფესტი მუშათა პარტიისა.

**რეველი**, 22 აგვ. ბრიტანიის მუშათა პარტიამ გამოუშვა მანიფესტი განცხადებით, რომ ინგლისის მუშებმა მიაღწიეს თავის პირველ მიზანს: არც ერთი ინგლისელი სალდათი არ წავა საბრძოლველათ რუსეთის წინააღმდეგ. ეხლა უნდა მივაღწიოთ ბლოკადის მოხსნას და ზავის შეკვრას საბჭოთა რესპუბლიკასთან.

### ტყავი მოსკოვს.

**იამბურგი**, 22 აგვისტო. იამბურგიდან მოსკოვში გაგზავნილია ოცი ვაგონი ტყავეულობის საქონელი.

### ბულგარეთში.

**ათინა**, 18 აგვისტო. როგორც ატყობინებენ გაზეთ „კაფიმერინის“ სოფიიდან, „სკუპჩინამ“ მიიღო პრემიერ სტამბულინსკის მიერ შეტანილი კანონპროექტი შრომის სამხედრო ბეგარისა. ამ კანონით ყველა კაცი 20 წლიდან და ზევით, აგრეთვე ყველა ქალი 18 წლიდან ვალდებული არიან პირადათ იშრომონ სახელმწიფოსათვის: კაცებმა თექვსმეტი თვეს და ქალებმა ათი თვის განმავლობაში. ბეგარიდან განთავისუფლდებიან ავებულობით არა ჯანსაღი კაცები და ორსული ქალები.

პირველი სამი თვე შრომის სამხედრო ბეგარისა მოხმარდება სწავლას, და სხვა დრო კი მუშაობას. კანონს მხედველობაში მიღებული აქვს სასწრაფო შრომის მობილიზაცია მოუსავლობის შემთხვევაში და სხვა მოულოდნელ პირობებით გამოწვეული. ყრილობამ აქა მისცა ამის გარდა კანონს მიწის საკუთრების შესახებ. ამ კანონით, არც ერთ ოჯახს არა აქვს უფლება მიიკუთვნოს მიწა იმ ნორმაზე მეტი, რომლის დამუშავება პირადათ მას არ შეუძლია.

### მდგომარეობა ინდოეთში.

**მოსკოვი**, 15 აგვისტო. მეორე კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესზე ამხანაგმა როიმ გაგვაცნო ინდოეთის მდგომარეობა. ინდოეთში 87 მილიონამდის უმიწო-წყლო გლეხობაა. მიწის საკუთრების ზედმიწევნითი კონცენტრაციაა. 600—700 თავადიშვილის საკუთრებას შეადგენს მთელი ტერიტორია. ხუთი მილიონი პროლეტარი მუშაობს საწარმოვო დარგში, რომელშიდაც ითვლება საშუალოთ 500 მუშა. ნაციონალური მოძრაობა ეყრდნობა უმთავრესათ საშვალო კლასს. სამხრეთ ინდოეთში გაფიცვებია. მარების პროლეტარული რევოლიუციონური მოძრაობა იკაფავს თავის გზას.

### წითელ ფრონტებზე

**კავკავი**, 26 აგვისტო. გამწვავებულ ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა სამხრეთ დასავლეთ ფრონტზე აიღო ქალ. **ლვოვი**.

ვრანგელის დესანტი, რომელიც გადმოსხეს ანაპის სამხრეთით, ჩვენებმა სავსებით გაანადგურეს. ახტირის რაიონის დესანტის ლიკვიდაცია ჩვენს სასარგებლოთ ვითარდება.

### სამხედრო ოპერატიული ცნობა 25 აგვისტოსი.

**მოსკოვი**, 26 აგვ. (რადიო). ლომჟის და ბელოსტოკის რაიონებში ჩვენი ნაწილები განაგრძობენ არიერგარდულ ბრძოლებს.

ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ჩვენ დავიკავეთ სოფლების მთელი რიგი ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ბრესტ-ლიტოვსკიდან.

ხოლმის რაიონში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

ლვოვის რაიონში დამატებითი ცნობებით, ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გაარღვია მტრის ზურგი და ქალაქ სტრის მიაღწიენ, სადაც მოსპო ათი ეშალონი და თვრამეტი ორთქმავალი მოწინააღმდეგის.

ყირიმის ფრონტზე, მერსონის რაიონში ჩვენთვის ხელსაყრელ ბრძოლების შემდეგ უკანასკნელ დღეებში ჩვენი ჯარები ახევინებენ მოწინააღმდეგეს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ორეხოვის რაიონში გრძელდება მწვავე ბრძოლები გაფთრებული ენერგიით.

### ნეგრების მდგომარეობა

**მოსკოვი**, 15 აგვ. კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესზე ამხანაგმა რიდიმ შეჩერდა სპეციალურათ ნეგრების მდგომარეობაზე ამერიკაში. მან სთქვა: „ამ შესამჩნევ „დემოკრატიულ“ მხარეში იმყოფება სამი კატეგორიის დაჩაგრული ხალხი: 1) ისუსული მუშები, 2) კოლონიალური ნახევრათ დამოკიდებული ხალხი—ფილიპინები, ინდოელები და სხვები, 3) ნეგრები. ნეგრები 10 მილიონამდე არიან; ისინი თავმოყრილნი არიან სამრეწველო ცენტრებში. ისინი უფლება აყრილნი არიან და წინააღმდეგ კონსტიტუციისა სინამდვილეში ხმის მიცემის უფლება არა აქვთ. უფლება მოკლებულნი არიან ყოველ მხრივ სამხრეთ კაროლინაში, მაგალითათ, 35 დოლარი იხარჯება წელიწადში შკოლაში ერთ თეთრ ბავშვზე და მხოლოდ ერთი დოლარი შავზე. შემთხვევები ლინჩის წესით გამართლების განსაკუთრებით ხშირია.

ბევრი ტრედ-იუნონელები უკანასკნელ დრომდის არ იღებდენ წევრებათ ნეგრებს. ერთ დროს იყო ნეგრებში მიმდინარეობა აფრიკაში დაბრუნების, მაგრამ მას არ ქონდა შედეგები. ნეგრები თავის თავს თვლიან ამერიკასთან შეკავშირებულათ. ისინი ადვილათ ენთებიან რევოლიუციონური აგიტაციით. ბევრი თავის თავს ბალშევიკს უწოდებს.

---

## დეპეშები

(ს. დ. ს.)

### საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

23 აგვისტოს. პოლონეთ-რუსეთ-უკრაინის დელეგატების მესამე სხდომა შესდგა. ამ სხდომაზე პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ დომბკიმ საზავო ხელშეკრულების მთავარ საფუძვლებზე ილაპარაკა. მან საბჭოთა რუსეთის საზავო პირობები მიღებულად აღიარა. რუსეთ-უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე დანიშევსკიმ დომბსკის პასუხი გასცა. მოლაპარაკება გრძელდება.

### მუშათა სოლიდარობა

ინგლისის მუშების კომიტეტმა გადასწყვიტა სამხედრო მასალების დამამზადებელ ქარხნებში მუშაობის შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ ინგლისმა საბჭოთა რუსეთს ომი გამოუცხადა.

გერმანიის მთავრობისა და მუშების წარმომადგენლებმა დაადგინეს, გერმანიის საზღვრებით გაგზავნილ სამხედრო ტრანსპორტის დაკავება.

### დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინში უმუშევრობის გამო დიდი დემონსტრაცია მოხდა.

---

## მუშათა წერილები

### „მუშათა“ დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა რუსეთში

როგორც ვიცით, საქართველოდან მიემგზავრება „მუშათა დელეგაცია“ საბჭოთა რუსეთში. კითხვა ისმება: დელეგაცია რა მიზნით მიემგზავრება რუსეთში,—იქაურ პროლეტარიატის გამოცდილების შესასწავლათ, თუ მათი „გასადემოკრატებლათ“? პირველზე მე ეჭვი მეპარება, ვინაიდან აქაურ მენშევიკებმა კარგათ უნდა იცოდენ რუსეთის პროლეტარიატის გამოცდილობა, რომლის დაფასება და გინებაში იყვნენ მთელ ქვეყნის კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად, ამას ამტკიცებს „ერთობის“ და „ბორბის“ ფურცლები „გრუზიას“-თან ერთად,—საიდანაც „მეცნიერულათ“ უმტკიცებდენ თავიანთ მკითხველებს რუსეთის „ჯოჯოხეთურ“ ცხოვრებას

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.“, როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

---

ძნელი წარმოსადგენია, „უცოდინარ“ ადამიანებს შეეძლო ასეთი დახასიათება სურსათის „სინამდვილესო“, მაშასადამე ამ მხრით მენშევიკ დელეგატებს და მისი ტოლ-ამხანაგებს და ძმა-ბიჭებს არ დასჭირდებათ დროის დაკარგვა. მაშ ისინი შეიძლება მეორე კითხვის განსახორციელებლათ თუ მიემგზავრებიან, ესე იგი, რუსეთის პროლეტარიატის „გასადემოკრატებლათ“?! ღმერთმა ხელი მოუმართონ ვინ იცის ეგებ შეძლონ გაჯიუტებულ რუსეთის პროლეტარიატის გადემოკრატება. მაგრამ ვეჭვობ, ვაი თუ სხვებისავით, მათაც კუდი ამოიძუონ. ამიტომ, მათი დელეგაციის გაგზავნას რუსეთში,—სულ სხვა მიზანი უნდა ჰქონდეს, ესე იგი, რუსეთის მუშების მუშებისათვის გაცნობა,—თუ როგო დაამყარეს აქ მენშევიკებმა „მუშათა“ დიქტატურა, და როგორ შექმნეს ამ პატარა საქართველოში სოციალიზმის „ოაზისი.“ მაგრამ აქ შეიძლება რუსეთის ამხანაგებმა შემდეგი კითხვები მისცენ დელეგაციას: თუ თქვენში მუშათა დიქტატურა და სოციალიზმის ოაზისია, რატომ არ არიან თქვენთან კომუნისტები, რომლისათვის ისინი იბრძოდენ, და რატომ სხედან ისინი ახლა ციხეებში, იმ დროს, როდესაც კონტრ-რევოლიუციონერ ბურჟუა სპეკულიანტები და მათი ამყოლ დამყოლნი თავისუფლათ დასეირნობენ; განა ესენი, თქვენში, მუშათა დიკტატურის მომხრეაო რომ ასეთი თავისუფლება მოგინიჭებიათ მათთვის და მუშა კომუნისტებისათვის—კი ციხეებიო?

მეორე, თუ მართლა თქვენში მუშათა დიქტატურაა, მაშ რატომ არ გვიწევდით დახმარებას საერთო მტერთან ბრძოლაში; როდესაც სისხლისაგან ვიცლებოდით, განა ჩვენი გამარჯვება ან დამარცხება, თქვენივე გამარჯვება და დამარცხება არ იყოვო? ასეთი დახმარების მაგიერ ჩვენი მტერთან ერთათ გადმომდგარხართ, და გვლანძღავთ, ცილსა გვწამებთ და დღესაც გვწამებთ, გათახსირებული მტრის სასიხარულოთ; ამას მოწმობს თქვენი გაზეთების ფურცლებიო. გარდა ამისა, პასუხი მოსთხოვეთ თქვენ მინისტრ-გეგეჭკორს, როდესაც ის 1918 წ. შემოდგომაზე ქ. ეკატერინოდარში, შავრაზმელ გენერალ ალექსეევს ეფიცებოდა მეგობრობას, რომ მას და ალექსეევს უერთებს საერთო მიზანი, ბოლშევიკებთან ბრძოლას.

ყველა ამის შემდეგ როგორ ჩავთვალოთ ჩვენ ამხანაგებათ და რა ვიწამოთ თქვენიო? აი სწორეთ მოსალოდნელი ასეთი შეკითხვები რუსეთის მუშებისაგან ჩვენი „მუშათა“ დელეგაციისადმი.

ყველა ზემო აღნიშნულ კითხვებზე საჭიროა მენშევიკებმა ახლავე შესაფერი „პასუხი“ მოამზადონ, რომ იქ მათი დელეგაცია არ გაწითლდეს. - მაგრამ არსებობს კი მათთვის სირცხვილი?

**პარმენი.**

---

## რა ხდება საქართველოში.

### „კაცმა პირი მალა, მარა პირმა თავი არ დამალა“.

მოგვყავს ქვევით უცვლელათ ბ. რ. ნიგორზღვერის წერილი სათაურით: „ბინის საკითხი და მუშათა კლასი“. („ერთობის“ № 193).

ბინების საკითხი ძლიერ ცუდათ არის დაყენებული ჩვენს დედა ქალაქში.

მის სიმწვავეს ისე ვერავინ გრძნობს, როგორც მუშები. ქალაქიდან მრავლათ მიდიან, მაგრამ ბინის შოვნა მაინც შეუძლებელი ხდება. თუ სადმე დაიცალა, ვერც კი მიასწრებ მის ნახვას, რომ ის გაქირავებული აქვს სახლის პატრონს ან თითონ მდგმური სტოვებს შიგ ვინმეს.

სახლის პატრონები ისე გაურბიან მუშებზე და განსაკუთრებით გვარდიელებზე სახლის გაქირავებას, როგორც თათარი ღორის ხორცს. რომც ჰქონდეს გასაქირავებელი, უარს ეუბნება, რადგან იცის, რომ მუშას არ შეუძლია ისე დიდი ფასები მისცეს, რასაც ის აიღებს ჩარჩ-ვაჭრებისაგან ან და ჩამობრძანებულ ბობოლებისაგან, რომელნიც მილიონობით ატრიალებენ.

საჭიროა ამას ბოლო მოეღოს,—ეყო მუშათა კლასს ნესტიან სარდაფებში და „სარაიებში“ ყოფნა, სადაც მგელიც კი არ დამაგრდება, არამც თუ ქარი და სიცივე!

ჩვენ იმედით შევყურებდით თავისუფლებას, როცა ძალა უფლება მუშათა კლასის ხელში იქნებოდა. ჩვენ ის მოვიპოვეთ. და მის შესანარჩუნებლათ არა ერთი და ორი საუკეთესო მსხვერპლი შევსწირეთ და ვსწირავთ კიდეც. ჩვენ საკუთარი სისხლით ვიცავთ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩვენს თავისუფლებას. ჩვენ შეგნებულათ ვიტანთ შიმშილს, სიცივეს, ანგარიშს ვუწევთ მდგომარეობას.

მიუხედავათ იმისა, რომ თავისუფალი ყაზარმების გამოყენება შეიძლებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთთან და მეზობელ რესპუბლიკებთან ჩამოშორების შემდეგ მრავალი მოქალაქე გადასახლდა, ჩვენი ქალაქი მაინც სავსეა მუქთა-ხორა მჭამელებით და ქალაქის საუკეთესო სახლები იმათ უჭირავთ.

ამ სამი დღის წინათ ერთ ჩემ ნაცნობს შევჩივლე—იქნება ოთახი გეგულება სადმე, რომ მოვთავსდე, თვარა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ რვა სული, ერთ პატარა ოთახში მეთქი. მან თავი გაიქნია უარის ნიშნად, როცა შევეხვეწე, რომ ესწავლებინა, თუ როგორ მომენახა, ბინა მითხრა:—ჩამოიარე სახლები, გასინჯე ბინის წიგნები და თუ რომელიმე ბინაში აღმოჩნდება ორი სული, ოთახი კი ხუთი—ექვსი ექნეს, იშუამდგომლე სადაც ჯერ არს რომ ორი ოთახი შენ გადმოგცენო.

მოდი და ნუ გაგეცინება: კარ და კარ იარე,—მერე ვინ მომცემს წიგნს. სახლის პატრონი, რომელთაც ჭირივით ვეჯავრებით. სად აქვს მუშას იმოდენა დრო, რომ კარ და კარ იაროს? ბინა, ეს პური ან ტანსაცმელ-ფეხსაცმელი არ არის, რომ ძნელი იყოს საზღვარ გარეთიდან შემოტანა. ის აქვე ჩვენშია საჭიროა მხოლოდ მისი წესიერად განაწილება.

ქალაქში იყო ბინის კომიტეტი, რომლის მოქმედება შეწყვეტილია. არ შეიძლება საქმის ასე მიტოვება. საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს. დაცლილი ბინები წესიერად უნდა განაწილდეს: მუქთა-ხორებს ნუ ექნება ექვსი—შვიდი ოთახი, იქნეს ეს გამოსწორებული. ზამთარი მოდის, ხალხი გარედ რჩება და ზოგი კი ოთხ-ხუთ და ზოგან ექვს-შვიდ ოთახში ნებივრობენ.

მივაქცევ ქალაქის მეთაურების და მთავრობის ყურადღეს, რომ ეს კითხვა მუშებისთვის მწვავე კითხვაა, სათანადოთ უნდა მოგვარდეს ის. თორემ ბევრის გაჭირვების ატანა შეუძლებელია.“

სრული სიმართლეა, დავსძენთ ჩვენ ჩვენის მხრით, მარა გასჭრის კი ეგ სიმართლე საქართველოს მოჭირისუფლე მთავრობაზე“ რომელიც თავს „მუშათა მთავრობას“ უწოდებს?

---

პირველი სექტემბრიდან ჩვენი გაზეთის „ახალი კომუნისტის“ ცალკე №-რის ფასი ყველგან რვა მანეთი იქნება.

---

## წერილი დაშნაკელების საპყრობილედან

ამხანაგებო! გატყობინებთ იმ საშინელებაზე, რომლითაც გარემოცულია ჩვენი ამხანაგები და კომუნისტური ორგანიზაციები სომხეთში. გამოუძიებლად და გაუსამართლებლად გუშინ-წინ დახვრიტეს ამხ. მუსაელიანი, გარინჯიანი და ძვირფასი სტიოპა ალავერდოვი. გუშინ იგივე ბედი ეწია კიდევ ოთხს ჩვენ ამხანაგს: ჩიმშკიანს, ოგანესიანს, გევორქოვს, ვართან და არმენაკ სარქისიანს. უკანასკნელი ამხანაგი მასწავლებლად იყო ქამარლიუში, მშვიდი და წყნარი ადამიანი, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მთავრობის საწინაღმდეგო მოძრაობაში. ვართ. გევორქოვი ჩვენი საუკეთესო პროფესიონალი იყო რკინის გზაზე, დანარჩენი ორი ამხ. მონაწილეობას იღებდენ ყარსის ამბებში. დახვრეტის წინ ასეთი სურათი დატრიალდა ციხეში. ღამით 13—14 აგვისტოს საგანგებო სასამართლოს პროკურორი გამომძიებლის და შეიარაღებულ რაზმის თანხლებით შევიდენ ამხანაგების კამერაში და მოითხოვეს პირველი სამი ამხანაგი. განზრახვა ჰქონდათ დასახვრეტათ გაყვანამდე ბორკილები დაედვათ ხელ ფეხზე. ყველა ამხანაგებმა ფიცი დასდეს არას შემთხვევაში არ გაეცათ ჯალათებისთვის სამსხვერპლო ამხანაგები, რომლებიც მთავრობას გაეწირა. წინააღმდეგობა ისე მოულოდნელი დარჩა ჯალათებისთვის, რომ ისინი გავიდენ ბოლოს. მეორე დღეს კი ციხე აავსეს შეიარაღებული ხალხით, ზალპების და მაუზერების დამუქრებით საღამოს 7 საათზე სამი ამხანაგი გააცალკევეს სხვა კამერაში—ახალ ბაიაზეთის ციხეში გადაყვანა გვინდა მათიო, ასე ხსნიდენ მთავრობის აგენტები თავიანთ ყაჩაღურ გადაწყვეტილებას. დილის 4 საათზე სამი ამხანაგი გამოიყვანეს ციხიდან და კანაკირის გზაზე ნორკესთან სამივე დახვრიტეს. მეორე დღეს ამხანაგებს აუწერელი რამ სისაძაგლე დაატყდა თავს. ყველა ელოდა რაღაცას. ცინიკურათ, უხეშათ და არამზადულათ ჯალათები დასცინოდენ გაბაწრულ მსხვერპლებს. აცალკევებდენ ერთმანეთისაგან და ათასნაირათ ამცირებდენ, აგინებდენ. საღამო ჟამს კიდევ გააცალკევეს ოთხი ამხანაგი და დილა ადრიან დახვრიტეს. ამხანაგი ციხიდან გვწერს, რომ ამ ღამით დახვრეტა მოელის კიდევ 15 ამხანაგსო.

საერთოდ ცემა, წამება და სხვა ინკვიზიტორული წვალება ჩვეულებრივი მოვლენაა დაშნაკელების საქმიანობაში. ყველაფერი ეს ხდება მათი პარტიის ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის ქვეშ. ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ საფრთხე მოელის ციხის გარეთ მყოფ ამხანაგებსაც. დაქირავებული აგენტების საშუალებით მმართველ პარტიას გადაწყვეტილი აქვს თეთრი ტერორით მოუღოს ბოლო ყველა კომუნისტს, ვისაც კი რაიმე ბედნიერი შემთხვევით გამოუშვებენ ციხიდან. მაისის დღეებში არ შეწირულა იმდენი მსხვერპლი, რაც შეიწირა ახლა დაშნაკელთა თეთრმა ტერორმა.

X.

P. S. „ახ. კომუნ.“ რედაქციამ მიიღო დამატებითი ცნობა: დაშნაკელ ჯალათებს 16 ამ თვეს კიდევ დაუხვრეტია 4 კომუნისტი: თავაქალიანი, მინჯიანი, ხარმანდარიანი და ნალბანდიან.

---

## პარტიული ცხოვრება.

### თბილისის კომიტეტის სხდომა

17 აგვისტოს შესდა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

დღის წესრიგი იყო შემდეგი:

1. მოხსენება რაიონებში მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება წითელ ჯვრის მოქმედების შესახებ, 3) სხვა და სხვა.

1. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ: პ ი რ ვ ე ლ რ ა ი ო ნ შ ი მუშაობა აღდგენილია, წევრთა შემადგენლობა სულ ერთიანად მუშურია. რაიონში კვირაში ოთხჯერ იმართება ლექციები, ორჯერ ქართულ ენაზე და ორჯელ რუსულზე.

რაიონს მოწყობილი აქვს თავისი პარტიული სასამართლო და სარედაქციო კომისია. ახლახან არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია რაიონის მოქმედების და ფინანსიური ანგარიშების სარევიზიოთ.

მ ე ო რ ე რ ა ი ო ნ შ ი არჩეულ იქნა ახალი ბიურო, მუშაობა დაკმაყოფილებულია.

რაიონულ საბჭოს სამი დღეს ზედიზედ სხდომები ქონდა. ირჩეოდა ორგანიზაციული ხასიათის კითხვები. რაიონულ საბჭოს დადგენილებით გრანიკი, როგორც ხაზეინი, რომელმაც არ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება ირიცხება პარტიულ ორგანიზაციიდან, რაიც ეცნობება საქარ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

რაიონში 25 იაჩეიკაა; საწევრო გადასახადები თავის დროზე შემოაქვთ. მუშაობას ხელს უშლის პროპაგანდისტული ძალების უქონლობა. სხდომამ მიიღო მხედველობაში მოხსენება მე-2 რაიონის შესახებ და დაამტკიცა რაიონულ საბჭოს დადგენილება გრანიკის შესახებ. დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს კულტურულ განმანათლებელ კომისიას გაჰყოს პროპაგანდისტები მე-2 რაიონისთვის.

მე-3 რაიონში მუშაობას უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლება ეტყობა. არჩეულია ახალი ბიურო და კომისია ახალი წევრების ხელახალი რეგისტრაციისათვის. იაჩეიკებებში ხდება მოხსენებები მიმდინარე მომენტზე. რაიონში 17 იაჩეიკაა.

მოხსენების შემდეგ სხდომამ დაავალა ამხ. ალის გააკეთოს დაწვრილებითი მოხსენება მუსულმანურ სექციის შესახებ.

მე-4 რაიონში მუშაობა ცოტათი მოიკოჭლებს. ამ ჟამად რაიონში 14 იაჩეიკაა 200 წევრით. არჩეულია ახალი ბიურო მუშაობის გასაძლიერებლად, მოხსენება მიღებული იქნა მხედველობაში და წინადადება მიეცა ამხ. ბ. აიდონ თავის ხელში მე-4 რაიონის საერთო ხელმძღვანელობა.

წ ი თ ე ლ ჯ ვ ა რ შ ი შედის ოთხი წარმომადგენელი რაიონებიდან და ერთი თბილისის კომიტეტიდან. არიან აგრეთვე კოოპტაციის საშუალებათაც მოწვეულება ორ ორი რაიონებიდან. წითელ ჯვრის მიზანია აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება დატუსაღებულ ამხანაგებს და მათ ოჯახებს. მისი კასა ივსება ნებაყოფლობითი შემოწირულებით და საღამოების, სეირნობის და ლექციების მოწყობით. ერთი ლექციიდან და სეირნობიდან წითელი ჯვრის კასაში შემოვიდა 20,000 მანეთი.

ს.

---

## მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

### ჩ ვ ე ნ შ ი.

#### თბილისის მეთამბაქო მუშათა კავშირში.

მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა გამოაცხადოს იტალიანური გაფიცვა ქარხნებში: „შვიდი მნათობი“ და „ასანთ[illegible]“ ამის მიზეზი არის სისტემატიურათ ჯამაგირის მიუღებლობა თავის დროზე.

#### მთავარი სახელოსნოს სახარატო ცეხში.

აქ რევიზია გაუკეთეს სასურსათო წიგნაკებს სადაც აღმოჩნდენ რამდენიმე ზედმეტი ჩაწერილები, რაიცა არა სასურველი და დაუშვებელია მუშების მხრივ. ასეთი წესებით სხვისი ანუ ზედმეტი ულუფის მითვისება დამამცირებელია ყოველი შეგნებული მუშების მხრივ. ასეთ არა სასურველ გზით სიარული იწვევს მუშის დამცირებას საზოგადოების თვალში და საბაბს აძლევს ასეთი მოქმედებით ადვილათ ტუქსონ მუშები. მართალია, რომ მუშების მდგომარეობა ძნელი და აუტანელია დღევანდელ საზღაპრო სიძვირის დროს, მაგრამ აქ დამნაშავეა არსებული წყობილება. სადაც ბურჟუაზიული წესებია იქ დიდი გასავალი აქვს მითვისებას.

მაგრამ მუშებს აქვს საშუალება თავისი პირობების გასაუმჯობესებლათ. ეს საშუალება და გზა არის შეკავშირება და დადგომა თავისი კლასიური წმინდათა წმინდა გზაზედ აი აქ უნდა ეძებდენ მუშები თავისი პირობების გაუმჯობესებას.

**მუშა მატაშვილი.**

### საზღვარ-გარეთ

#### დიდი გაფიცვები პომერანიაში.

**შტეტინი.** საგაფიცვო მოძრაობა პომერანიაში დღითი-დღე ფართოვდება. მუშები გაფიცულია 27 ნავთსადგურში. დასაწყნარებლათ გამოყავენ გუსარები, რომლებიც უშედეგოთ დაბრუნდენ. გაფიცვა აღმოცენდა პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგზე. ფიქრობენ, რომ გაფიცვას მიემხრობა გერმანიის სხვა ოლქებიც.

#### გაფიცვები ავსტრიაში.

**პეტერბურგი.** სურსათის უქონლობის და შიმშილობის ნიადაგზე დაიწყო მუშების გაფიცვა კარლსბატსკის, ეგერის და სხვა ოლქებში. გაიფიცენ ყველა მუშები, რკინის-გზელები, საავადმყოფო მოსამსახურენი, სასურსათო დაწესებულებათა პერსონალი.

#### ინგლისის მუშების საჩუქარი.

პეტერბურგში მოვიდა 9 ვაგონი ტყავი, რომელიც გამოგზავნილია ინგლისის მუშების მიერ საჩუქრათ რუსეთის მუშებისათვის.

#### საბერძნეთის მუშებს არ სძინავთ.

ათინის ბერძნული გაზეთი: „კაფი მერილი“ იუწყება, რომ ათონ პირეთის რკინის-გზის მუშებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილება და იმუქრებიან გაფიცვით.

---

## ფონდი

თანახმათ შუხუთის კომუნისტური იაჩეიკის ერთ-ერთი კრების დადგენილებისა ჩვენ შევკრიბეთ ამხანაგებში მცირე წვლილი მუშათა და გლეხთა ინტერესების შეუდარებელ დამცველის გაზ. „ახალი კომუნისტის“ ფონდის გასაძლიერებლათ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყველა პატიოსანი და შეგნებული მუშები აღმოუჩენენ დახმარებას მშრომელთა გაზეთს. გიგზავნით ჩვენ მიერ შეკრებილ მცირე წვლილს. შემომწირველთა სია: 1) გიორგი მახარაძემ—200 მ.; 2) ალისტრო ჭიჭილეიშვილმა—120 მ.; 3) ალექსანდრე ბზეკალავამ და 4) ილიკო ორაგველიძემ—ას-ასი მან.; 5) ერასტო ჩხაიძემ—90 მ.; 6) გერმ. ორაგველიძემ, 7) სამსონ აფხაძემ, 8) სერგო ჭუპაბრიამ 9) პავ. ასათიანმა, 10) აპოლო იმნაიშვილმა, 11 სეფი გოგვაძემ, 12) სამ. იმნაიშვილმა, 13) ლუკა ორაგველიძემ, 14) შალვა მგელაძემ—ხუთ-ხუთი თუმანი, 15) სანდრო იმნაიშვილმა—33 მ.; 16) კალისტე მგელაძემ—30 მ.; 17) აპოლონ იმნაიშვილმა—30 მან., სიმონ ფირცხალაიშვილმა—25 მ.; 18) ვალერიანე იმნაიშვილმა—25 მ.; 19) ნეს. ბზეკალავამ—25 მ.; 20) ვარლამ უგრეხელიძემ—18 მ. სულ ჯამი—1246 მან.

მონდობ. პ—თ ა—ნ და ი—ა იმნაიშვილები.

---

მიღებულია გაზ. „ახალი კომუნისტის“ ფონდის გასაძლიერებლათ ნაბაკევის იაჩეიკიდან—465 მან., ლანირის იაჩეკიდან—250 მ. სულ 715 მან. ორივე იაჩეიკები ეკუთვნიან სამტრედიის რაიონულ ორგანიზაციას.

---

**დრ. რედაქტორი:**

**დიმიტრი ჯორბენაძე.**

სტამბა „ეკონომია“ [illegible] ვანქის ქ. № 3.